



ათაბაგოზის ინსტიტუტი საქართველოში

რეზიუმე

ათაბაგობა როგორც ქართული სამოხელეო დაწესებულება არ ყოფილა საქართველოში 1212 წ.-მდე. იგი აღმოსავლური სახელაო. ივ. ჯავახიშვილის მითითებით ათაბაგობა საქართველოში ივანე მხარგრძელის პირადი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იქნა დაწესებული. კერძოდ, თამარ მეფემ ზაქარია ამირსპასალარის გარდაცვალების შემდეგ მის ძმას ივანეს ზაქარიას პოსტი – ამირსპასალარობა შესთავაზა. პატივმოყვარე ივანემ კი არ ინდომა გარდაცვლილი ძმის თანამდებობა და თამარს ათაბაგობა სთხოვა. ათაბაგობა უცხო რამ იყო იმ პერიოდის საქართველოში, მაგრამ როგორც ჩანს მეფეს დაუკმაყოფილებია ივანე მხარგრძელის თხოვნა. ათაბაგობა ხშირად შეთავსებული იყო ამირსპასალარის სახელოსთან, მაგრამ შემდეგში ამ თანამდებობას მედროვეები დაეპატრონნენ.

გაერთიანებულ ფეოდალურ, მმართველობის ფორმის მიხედვით მონარქიული და წყობილების მიხედვით – რთულ სახელმწიფოში ათაბაგობამ მოიპოვა მეტად საპატიო ვაზირის უფლება. მას საქვეყნოდ გამრიგე მოხელეობასთანაც რაღაც კავშირი ჰქონდა. ათაბაგობა შეიძლება და სხვა თანამდებობასთანაც ყოფილიყო შეერთებული (მაგ. ამირსპასალართან) ეს ვარაუდია რა თქმაუნდა.

ყოველივე აღნიშნული კი მიუთითებს ქართული სახელმწიფოებრიობისა და განვითარების სიძლიერეზე. მიუხედავად იმისა რომ მეფის ხელისუფლება იზღუდებოდა დარბაზით, როგორც საკანონმდებლო ორგანოთი და სავაზიროთი – როგორც აღმასრულებელი ორგანოთი.

ათაბაგი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში გვევლინება მეტად საპატიო ვაზირად. მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი უფლებები და პატივი ჰქონდა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის შემდეგ ყოველთვის უნდოდა გათანაბრება მასთან და გასწრება. ათაბაგი მოქმედებდა მიზანმიმართულად ჭყონდიდელის წინააღმდეგ და ამით ასუსტებდა მეფის ხელისუფლებას. ათაბაგის მცდელობას ტყუილად არ ჩაუვლია და მან სამეფო კარის ათაბაგობიდან ოლქის ათაბაგობის ტიტული მოიპოვა. გაჩნდა საათაბაგო, როგორც ტერიტორიული ერთეული და XV-ს-ის ბოლოს და XVI-ს-ის დასაწყისში, ერთიანი ფეოდალური საქართველო დაიშალა და წარმოიშვა სამი სამე-

ლიანა მერებაშვილი

გორის უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტი
E-mail: liamerebashvili12@gmail.com

ფო (ქართლი, კახეთი და იმერეთი) და ერთი სამთავრო (სამცხის საათაბაგო).

საკვანძო სიტყვები: „ათაბაგი“, „უფლისწულის აღმზრდელი“, „სელჯუკი“, სამეფო კარი, სამეფო ტახტი, ოლქის ათაბაგი.

შესავალი

თემაში საუბარია ათაბაგობის ინსტიტუტზე, სხვადასხვა ისტორიულ წყაროებზე ამ სიტყვის წარმოშობასთან დაკავშირებით, თუ ვინ იყო პირველი ათაბაგი საქართველოში, იყო თუ არა საქართველოში პირვანდელ ისტორიულ წყაროებში ოლქის ათაბაგობა, ათაბაგობის შესატყვისი სახელის „მამაძუძეობის“ ფესვები საქართველოში, ათაბაგის ფუნქციები და ამ „ხელის“ ისტორიული მნიშვნელობა.

ათაბაგის თანამდებობა ერთიანი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების მეტად მნიშვნელოვანი და თან საკამათო ინსტიტუტია. ეს „ხელი“ საქართველოში XIII საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბდა. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია, რომ „ათაბაგი დიდი საპატიო“ ვეზირია და „ძვირად ოდესმე იქნების“. პირველი ათაბაგი საქართველოში ივანე მხარგრძელი იყო. როცა მისი ძმა ზაქარია გარდაიცვალა, თამარ მეფემ ამირსპასალარის სახელი ივანეს უბოძა, ხოლო ივანემ ამირსპასალარობის ნაცვლად მეფეს ათაბაგობა გამოსთხოვა. ათაბაგობა ხშირად შეთავსებული იყო ამირსპასალარის სახელსთან, მაგრამ შემდეგში ამ თანამდებობას მედროვეები დაეპატრონნენ.

ტერმინი „ათაბაგი“ თურქულ წარმოშობისად ითვლება და „მამად და გამზრდელად სულტანთა იწოდების“. „ათა“ ნიშნავს მამას და „ბეგი“ - ბატონს. ათაბეგი იყო: 1) სელჯუკთა სულთნების მემკვიდრეების აღმზრდელი, 2) XII-XIII სს-ში ფეოდალური სამთავროების მეთაური ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, 3) მხედართმავარი ეგვიპტეში მამელუქების დროს.



დ. ბაქრაძის მიხედვით სიტყვა „ათაბაგი“ არის თურქული და ნიშნავს: ატტა - გამდელს და ბეგი - ბატონსა, მთავარსა: „გამზრდელი ბატონისა მთავრისა“ რადგანაც თავდაპირველად ათაბეგების ამ ხელობას ასრულებდნენ სელჯუკების სასახლეში, მაგრამ იგი ქართულ ათაბაგობას აზერბაიჯანის ათაბაგობისაგან შეთვისებულიად მიიჩნევენ.

ა. ხახანაშვილი თვლიდა, რომ ათაბეგი ნიშნავს მამა - პატრონს, პირველ მინისტრს, დიდ ვეზირს, უმაღლეს გამგეს, რომ იგი არის „მზრდელი, ყრმა - მთავრისა, სახელმწიფო პატრონისა ემაწვილობის დროს“.

დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონით“ ათაბაგი სპარსული სიტყვაა. იგი აღნიშნავს წარჩინებულს, უფლისწულის გამზრდელს. „საქართველოს ათაბაგად იწოდებოდნენ ახალციხის მთავარნი და იყვნენ თამარ მეფის გამზრდელნი მეფის ძეთა -“ ო.

ვ. გორდღევსკის თანახმად „უფლისწულის, მომავალი სულთანის აღმზრდელი, მამობილი, „ათაბეგი“, დიდი გავლენით სარგებლობდა სელჯუკებში.

ს. ეგიაზროვიც „ათაბეგს“ თურქულ ტერმინად და უფლისწულის აღმზრდელად მიიჩნევს, თუმცა იგი უმატებს, რომ ასე უწოდებდნენ სახელმწიფოთა და ოლქების მმართველებსაც, სადაც მეფეები თავიანთ მოადგილეებს ნიშნავდნენ წარჩინებულ და გვარიან მოხელეთაგან. მას მაგალითად მოჰყავს ივანე ათაბაგი, რომელიც მისი თქმით ქართველთა მეფეს 1228 წელს სომხეთის მმართველად დაუნიშნავს.

ირანული სამფლობელოების მმართველებიც „ათაბეგებად“ იწოდებოდნენ. მკვლევართა აზრით, ამ სიტყვების წარმოშობა და ტიტულად გარდაქმნა დაკავშირებულია სელჯუკიანთა სახელმწიფოში არსებულ პრაქტიკასთან, რომლითაც უფლისწული-სათვის ამათუიშ ოლქის ბოძებისას სულთანი მის აღმზრდელად გამოიწვევდა მხედართმავარს - ემირს მიუჩნდა, რომელიც ფაქტიურად განაგებდა საუფლისწულო მამულს უფლისწულის სახელით. ასეთ ემირს „ათაბეგი“ ეწოდებოდა.

ა. მიულერის მიხედვით ათაბეგები სელჯუკიანთა უფლისწულის მეურვეები არიან, ხოლო მეფეების არასრულწლოვნებისას მათ მფარველად და მოადგილეებად ითვლებიან. როგორც მეურვეები ათაბეგები ბაღდადის ემირებივით მმართველები არიან. ზოგჯერ კი ათაბეგები დამოუკიდებელი ოლქების მმართველად გვევლინებიან. მაგ. : მოსულში, აზერბაიჯანში, ფარსში, ლურისტანში.

ვ. გაბაშვილსაც აღნიშნული აქვს, რომ „ათაბაგის“ წოდებულებას ატარებდა არამარტო უფლისწულის აღმზრდელი, არამედ პროვინციის

გამგებელი ამირაც. ასევე აღნიშნავს ნ. შენგელია და რ. ჰუსეინოვი. მათი შეხედულებით „ათაბეგს“ რამოდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა.

ვ. ბორტალდის მიხედვით ათაბეგი სულთანის ან პრინცის მეურვე იყო, ხოლო ი. კრაჩკოვის აზრით - ცენტრალური ხელისუფლების ნაცვალი.

ბოლო დრომდე მეცნიერებაში მიღებული იყო შეხედულება, რომ საქართველოში პირველი ათაბაგი ივანე მხარგრძელი იყო, მაგრამ უკანასკნელ ხანს რ. კიკნაძემ და მის კვალად ი. ანთელავამ უარყვეს ძველი მოსაზრება და ჩათვალეს, რომ პირველი ათაბაგი საქართველოში ივანე ახალციხელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ეს წოდება 1206 წელს უნდა მიეღო. თანაც მკვლევარები აღნიშნავენ, რომ იგი უნდა ყოფილიყო ოლქის ათაბაგი და არა სამეფო კარის ათაბაგი. მეტრეველიც, უფრო ადრე უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ ათაბაგობა საქართველოში ადრეც არსებობდა სხვა შინაარსით.

„ისტორიათა და აზმათა“ ცნობით „მეფემან (თამარ - ს.გ.) აიღო და მიითუალა კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე და აჩინა მონაპირედ და უშოროთ იშობა და „ამირათა - ამირაობა“.

აღნიშნულ ტექსტში მოხსენიებული „უშოროთ იშობა“ კ. კეკელიძემ და ივ. სურგულაძემ „ჯიბობის ბოძებად“ გაიგეს. ს. ყაუჩიშვილმა იგი აღადგინა, როგორც „უბოძა ათაბაგობა“, ვინაიდან ვახუშტისთან ივანე ახალციხელი ათაბაგად იხსენიება. ფ. გოგრიჯანიძესთან „უშოროთ იშობა“-ს ადგილას „უბოძა ოთახბაშობა“-ს ვკითხულობთ.

ჩვენი აზრით უფრო მართებული უნდა იყოს „უშოროთ იშობა“-ს „უბოძა ეჯიბობა“-დ წარდგენა. ამას გვაფიქრებინებს ფ. გოგრიჯანიძესთან არსებული „უბოძა ოთახბაშობა“. „ოთახ“-ი კი ს. ორბელიანის განმარტებით თურქული სიტყვაა და „სახლაკს“ შეესაბამება.

ესეიგი „ოთახბაში“ სასახლის უხუცესის მსგავსი მოხელის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს. ამით იგი ახლოს დგას „ეჯიბთან“, რომელიც აღმოსავლურ სამყაროში ზოგჯერ სასახლის უხუცესსაც აღნიშნავდა. სანამ არ არსებობდა „ამირეჯიბობა“ (იგი პირველად XIII-ის მე-2 ნახევარში გვხვდება საქართველოში), ეჯიბი ძალიან დიდი თანამდებობა იქნებოდა. მისი პირველი მფლობელიც შესაძლოა ივანე ახალციხელი იყო, რადგან თუ არ ჩავთვლით ჯუანშერის თხზულებაში მოხსენიებულ „ეჯიბს“ (რომელიც არ შეიძლება იყოს საქართველოში V ს -ში არსებული), ეს ტერმინი პირველად ივანე ახალციხელთან დაკავშირებით უნდა გვხვდებოდეს.



მკვლევარებს, რომლებიც საქართველოში ე.წ. „ოლქის ატაბაგობას“ ვარაუდობენ, გამორჩენია ზ. ბუნიათოვის ნაშრომი „აზერბაიჯანის ათაბეგთა სახელმწიფო“, რომელშიც ავტორმა უამრავი ფაქტობრივი მასალის მოშველიებით ცხადყო, რომ კაცი ჯერ ათაბეგი უნდა გამხდარიყო (ე.ი. აღმზრდელი) და ოლქი მერე და ეძლეოდა. მან გამოარკვია რომ აზერბაიჯანის, მოსულის, ფარსის, და ა.შ. ათაბეგთა სახელმწიფოები სელჯუკთა იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოიშვნენ, ხოლო თვით ეს სახელწოდებები მას მერე გაჩნდა, რაც სელჯუკი უფლისწულების ათაბეგებმა მემკვიდრეობითი დინასტიები ჩამოაყალიბეს. ასე, რომ ივანე ახალციხელი არ ჩანს უფლისწულის აღმზრდელად და ისიც საეჭვოა, რომ საქართველოში ამ დროს „ოლქის ათაბაგობა“ ყოფილიყო. აქედან გამომდინარე „უშოროთ იშობა“-ს ათაბაგობად აღდგენა არ უნდა იყოს სწორი.

ათაბაგი, როგორც ითქვა, გამზრდელის, ფუნქციას ასრულებდა, რაც კარგად ჩანს ქართული წყაროებიდან. მაგ. ლაშა გიორგის მემკვიდრე მოგვითხრობს, რომ ახალგაზრდა მეფის გარდაცვალების გამო იყო „ცრემლთა წილ გულით სისხლის დენანი, ტკივილნი და ნაცრისა თავსა სხმანი ვაზირთა და დიდებულთა და ყოვლისა სამეფოსაგან და მისისა გამზრდელისა ივანე ათაბაგისგან“. ტარსაიჭ ორბელსაც (XIII ს. II ნახ.) უბოძეს განსაკუთრებულ „ვიდრე ტფილისით, ანით და კარით“ და განსაზღვრულად მეფის ძენი დავითი და მანუელი.

ათაბაგობას (ოღონდ „მამაძუძეობის“ სახელით) საქართველოში ღრმა და შორეული ფესვები ჰქონდა. ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი) აღნიშნავდა: „ძველი დროიდან საქართველოში ჩვეულება ჰქონდათ, დიდისა და წარჩინებული ოჯახის შვილი სხვის სახლში აღეზარდათ ამ ჩვეულებას მამაძუძეობა ერქვა“-ო. მას ათაბაგობა მამაძუძეობის გაგრძელებად მიაჩნდა.

მამაძუძეობა ფართოდ იყო გავრცელებული ქართველი ერის ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში. ამის საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ მითითებულ ნაშრომში ისინი ისედაც უხვად არის წარმოდგენილი.

ათაბაგის „ხელის“ გაჩენას საქართველოში, ამ თანამდებობის უშუალო კავშირ-სიახლოვეს სამეფო ტახტთან, ბუნებრივია მისი მპყრობელის დაწინაურება და გავლენის ზრდა უნდა გამოეწვიოს „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით „გასულა ათაბაგი დიდი და საპატიო და ძვირად ოდესმე იქნების“-ო, მართლაც, იგი ხანდახან მეფის კარზე პირველ მინისტრობასაც იღებდა ხელში. მაგალითად, ჯაღალ ედ-დინი ათაბაგ-ამირსპასალარს ვაზირთუხუცესად მოიხსენიებს. იმ დროს მართლაც ასე იყო, მაგრამ ვერ

გავიზიარებთ მოსაზრებას, თითქოს ათაბაგმა მწიგნობართუხუცესს „წყალი შეუყენა“, ან კიდევ იმას, რომ მათმა „გააფთრებულმა“ ბრძოლამ პირველობისთვის ორივე „ხელი“ გადააშენა.

ვფიქრობთ, ათაბაგის აღზევება ხდებოდა მაშინ, როცა მწიგნობართუხუცესობა არ იყო. საფიქრებელია, რომ მეფე ამ თანამდებობას ზოგჯერ არავის აძლევდა. წყაროებში საუბარია, რომ მწიგნობართუხუცესი ათაბაგთან შედარებით დაწინაურებულია. მაგ., „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია, რომ ვეზირობისა და დარბაზობის დროს უპირატესობა ჭყონდიდელს ეძლეოდა: „ჭყონდიდელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდნენ“-ო. პურობის დროსაც მკაფიოაა გამოკვეთილი ჭყონდიდელის უპირატესობა - მწიგნობართუხუცესს ამირეჯიბი დაუდგამს „ტაბაკს“, ხოლო „ათაბაგსა... ტაბაკს ეჯიბი დაუდგამს“-ო. როცა პურობის შემდეგ ვაზირები „გაიყრებოდნენ“, „ორი მაშხალა ჭყონდიდელს წაუძღვების და თითო - სამთა ვაზირთა, და სხვათა არავის“-ო. მწიგნობართუხუცესის პირველობა დასტურდება „მეფის კურთხევის წესითაც“ - იგი ათაბაგზე წინ მიულოცავდა მეფეს ტახტზე ასვლას.

ამრიგად, მწიგნობართუხუცესი თითქმის ყოველთვის უფრო მაღლა იდგა ათაბაგზე, ათაბაგობას მწიგნობართუხუცესის სახელო არ მოუსპია. უფრო მეტიც, არის საფუძველი, ვამტკიცოთ, რომ მწიგნობართუხუცესობა IV საუკუნეშიც არსებობდა, როცა კარგა ხანი იყო, რაც „საქართველოში ათაბაგობა სამცხის მმართველთა საგვარეულო სამკაულად“ იყო ქცეული.

აღნიშვნის ღირსია ათაბაგობის ერთი საყურადღებო თვისება. ეს არის სხვა თანამდებობასთან „უმტკივნეულო“ შეერთებისა და შეგუების უნარი. ჯერ-ჯერობით მოღწეულ წყაროებში ყველა ათაბაგი, ტარსაიჭ ორბელის გარდა, ამავე დროს ამირსპასალარიც იყო. ამის მიზეზი, კი ჩვენი აზრით, ათაბაგის, ამ დიდი მინისტრის, „უპორთველობაში“ (ე. თაყაიშვილი) მდგომარეობდა. საქართველოს XIII საუკუნის მეფეები ერთხელ დაშვებულ შეცდომას ასეთ კომპენსაციას უკეთებდნენ.

დასკვნა

ამდენად, სიტყვა „ათაბაგი“ აღმოსავლური წარმოშობისაა. ათაბაგობა მართალია

შემთხვევით იქნა შემოღებული თამარის მეფობის დროს და ამ თანამდებობის შემოღებამ უშედეგოდ არ ჩაიარა. გაჩნდა საათაბაგო საქართველოში და როდესაც XVI ს-ის დასაწყისში ერთიანი ფეოდალური საქართველო დაიშალა გაჩნდა სამთავრო - სამცხე-საათაბაგო.



გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 110.
2. ვახუშტი. საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის რედ., 1985, გვ. 191, შენ. I.
3. რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”, თბ., მეცნიერება, 1975, გვ. 59-60. ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 134-136.
4. სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. IV, გვ. 554.
5. ვ. გაბაშვილი. საქართველო და თურქული სამყარო XII საუკუნეში. “აღმოსავლური ფილოლოგია”, III, თბ. 1973, გვ. 94.
6. ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო XI ს-ში. თბ., 1968, გვ. 126.
7. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VI, გვ. 312; ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, II, გვ. 36; მისივე. ათაბაგობის ინსტიტუტის წარმოშობის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. თ.ს.უ.-ს შრომები, ტ. 79, 1959, გვ.15-18.
8. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, გვ. 161.
9. ზ. ბუნიატოვი, “ათაბაგობა აზერბაიჯანის სახელმწიფოში /1136 – 1225/ “ . ბაქო, 1978, გვ. 175-176.
10. ლაშა გიორგის - დროინდელი მემკვიდრე. ქართლის ცხოვრება, I გვ. 371.
11. თ. ჩხეიძე, აღზრდის ინსტიტუტი სასანურ ირანში, თბ., 1979.
12. გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ.: მეცნიერება, 1979, გვ. 66-74, 171- 172.
13. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება. გვ. 76-78.
14. ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოცემა. გვ. 49.
15. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 30.

INSTITUTE OF ATABAGOBIA IN GEORGIA

LIANA MEREBASHVILI

Specialist of Gori University

E-mail: liamerebashvili12@gmail.com

Summary

Atabagoba as Georgian official institutions has not been existed in Georgia till 1212. It is the eastern name. According to Iv. Javakhishvili Atabagoba created in Georgia because of personal ambitions of Ivan Mkhargrdzeli. In particular, after the death of Zakaria amirspasalari, King Tamar offered his brother Ivan Zacharias the post - Amirspasalari. A very ambitious Ivan refused did not want his late brother's position and asked Tamar to become Atabagi. This position was not strange thing at that time in Georgia, but it seems the king has satisfied the request of Ivan Mkhargrdzeli. Atabagi's position often was combined with the position of Amirspasalari, but then the nouveau riches took this position.

According to the governmental form of United feudal, monarchical and order - in a difficult state the position of Atabagi gained the right of the most honorable vizier. It had some kind of connection with the population judge. Atabagoba could have been joined with other position (for example. Amirspasalari) this is just an assumption of course.

These are all indicate of the strength and development of the Georgian statehood. While the king's government was restricting by the hall, as the legislative body and by the Savaziro - as the executive body.

Athabagi united feudal Georgia represents the most honorable vizier. Although he had great respect for the rights and Mtsignobartuhutsesa Chkondideli after overtaking him and always wanted to equalize. Athabagi acted deliberately and thus weakening the king Chkondideli against the government. Atabagis not been in vain, and he attempts to atabagobi District atabagobis royal title. Saatabago emerged as a territorial unit and the end of the century and XVI- XV- century earlier, and emerged from the collapse of the three kingdoms unified feudal Georgia (Kartli, Kakheti and Imereti) and one principality (Samtskhe Saatabago).

In the united feudal Georgia Athabagi represents as the most honorable vizier. Although he had many rights and great respect, after the Mtsignobartukhutses Chkondideli he always wanted to equalize him and even to overtake. Athabagi acted deliberately against Chkondideli and thus weakening the king's power. Attempts of Atabagis was not in vain, and from title of the royal Atabagi he moved toward the District Atabagi title. Saatabago emerged as a territorial unit and at the end of XV century and at the beginning of XVI century, when the united feudal Georgia fell apart and emerged the three Kingdoms (Kartli, Kakheti and Imereti) and one Principality (Samtskhe Saatabago).